

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი



სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

გეოლოგია

თბილისი

2026



პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	გეოლოგია <i>Geology</i>
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	I 60 ECTS ნაწილი - გეოლოგიის მაგისტრი - Master of Geology II 60 ECTS ნაწილი - კვლევის მაგისტრი გეოლოგიაში- Research Master in Geology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის საერთო მოცულობა - 120 ECTS კრედიტი, I ნაწილი 60 კრედიტი 40 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო საგნები 20 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი საგნები II ნაწილი 60 კრედიტი 25 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო საგნები 5 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი საგნები 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელები	ზურაბ ლებანიძე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი კახა ქოიავა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტ პროფესორი თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოლოგიის დეპარტამენტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამის I ნაწილზე დაშვების წინაპირობა: 1. გეოლოგიაში ბაკალავრის ხარისხი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვა სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მქონე, რომელსაც გეოლოგიის შესავალ კურსში აქვს 5 ECTS 2. საერთო სამაგისტრო გამოცდა 3. ზეპირი გამოცდა სპეციალობაში პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობა: სწავლის გაგრძელების უფლება აქვს გეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებით). აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის I ნაწილის მიზანი • მისცეს სტუდენტს გეოლოგიის დარგში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი საფუძვლიანი ცოდნა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. • გამოუმუშაოს სტუდენტს დარგში არსებული პრობლემების შეფასების და კრიტიკული ანალიზის უნარი. პროგრამის II ნაწილის მიზანი • მისცეს სტუდენტს გეოლოგიის დარგში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ღრმა სისტემური ცოდნა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. • გამოუმუშაოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის, დარგში არსებული პრობლემების კრიტიკული ანალიზის, დასკვნის ჩამოყალიბებისა და მათი გადაჭრის გზების მონახვის უნარი.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის I ნაწილის კურსდამთავრებული: • აზოგადებს გეოლოგიის დარგის დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკული საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვისთვის. პროგრამის II ნაწილის კურსდამთავრებული: • აზოგადებს გეოლოგიის დარგის დისციპლინებში მიღებულ ღრმა და სისტემურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისა და ახალი ორგინალური იდეების განვითარებაში.
უნარები	პროგრამის I ნაწილის კურსდამთავრებული: • იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გეოლოგიის პრინციპებს დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტისას. • შეიმუშავებს გეოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებს - ახალი გეოლოგიური მონაცემების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით. • ახდენს საკუთარი დასკვნების და არგუმენტების პრეზენტირებას როგორც აკადემიური, ისე ფართო საზოგადოების წინაშე პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით. • ეფექტურად მუშაობს გუნდში. პროგრამის II ნაწილის კურსდამთავრებული: • იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გეოლოგიის პრინციპებს დარგში არსებული პრობლემებისა და სამეცნიერო-კვლევითი ამოცანების გადაწყვეტისას. • შეიმუშავებს გეოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებს - ახალი გეოლოგიური მონაცემების, თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით. • დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს სამეცნიერო-კვლევებს, რომელიც მოიცავს გეოლოგიის ფუნდამენტურ და გამოყენებით ასპექტებს, პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ჩათვლით. • ახდენს საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების ლოგიკურად და კრიტიკულად პრეზენტირებას როგორც აკადემიური, ისე ფართო საზოგადოების წინაშე პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	• ეფექტურად მუშაობს გუნდში მათ შორის კვლევით პროექტებზე.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	პროგრამის I ნაწილის კურსდამთავრებული: • გეგმავს აქტივობებს აკადემიური და პროფესიული განვითარებისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის II ნაწილის კურსდამთავრებული: • გეგმავს აქტივობებს აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული განვითარებისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლება-სწავლის მეთოდები ❖ ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა; ❖ სასწავლო და პროფესიული პრაქტიკა; ❖ ელექტრონული სწავლება/დასწრებული/; სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები ❖ ვერბალურია მეთოდი ❖ დემონსტრირების მეთოდი ❖ პრაქტიკული მეთოდი ❖ კვლევის სავლე და ლაბორატორიული მეთოდები ❖ დისკუსია ❖ წერითი მუშაობა ❖ ინდუქციური და დედუქციური მეთოდები ❖ ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მეთოდები ❖ ანალიზის მეთოდი ❖ პრეზენტაცია
შეფასების სისტემა	სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს: ❖ ლაბორატორიულებზე, პრაქტიკულებზე და სემინარებზე სტუდენტთა აქტივობის შეფასებას; ❖ შუა სემესტრულ შეფასებას; ❖ სემესტრის დასკვნითი გამოცდის შეფასებას; ❖ პრეზენტაციის შეფასებას; ❖ სავლე პრაქტიკის ანგარიშის შეფასებას; ❖ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას; დადებითი შეფასება: (A) ფრიადი- შეფასების 91-100 ქულა (B) ძალიან კარგი-მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა (C) კარგი- მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა (E) საკმარისი-მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: (FX)ვერ ჩააბარა მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლად გასვლის უფლება (F) ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	შეფასების კრიტერიუმები გაწერილია კონკრეტულ სილაბუსში. პროგრამის II ნაწილი - გაღრმავებული სწავლების სასწავლო კურსები ფასდება I ნაწილის მსგავსად. - სამაგისტრო ნაშრომი ფასდება წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით ფაკულტეტზე დამტკიცებული შეფასების კომისიის მიერ. სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში უაყოფიო შეფასების მიღების შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა იმავე სემესტრში შეუძლებელია.
დასაქმების სფეროები	<i>პროგრამის I და II ნაწილის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</i> ❖ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები (ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი, ალ. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, ლევან ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი). ❖ საჯარო სამსახურები (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო). ❖ კერძო კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი არიან გეოლოგიის საკითხების გადაწყვეტით. ❖ მუნიციპალური სამსახურები (ქალაქის მერია, რაიონული გამგეობები და სხვ) ❖ უნივერსიტეტები (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის). ❖ მუზეუმები. ❖ შეიძლება მომზადდეს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის-მასწავლებლად საჯარო სკოლებში „ფსიქოლოგ-პედაგოგის“ პროფილის ათვისების შემთხვევაში პროგრამის ნაწილი I-ის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. პროგრამის ნაწილი II კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე სპეციალობის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის	
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით (პროგრამას თან ერთვის პროგრამაში მონაწილე პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები); მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: გეოლოგიის მაგისტრის და კვლევის მაგისტრის გეოლოგიაში მომზადება ხდება ძირითადად გეოლოგიის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზაზე, რომელიც მოიცავს: ❖ მინერალოგიის სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიას (მუზეუმი), ❖ პალეონტოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას (მუზეუმი), ❖ პეტროქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას ❖ პეტროლოგიურ-პოლარიზაციულ და მადნეულ მინერალთა კვლევის



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	მინერაგრაფიული მიკროსკოპების ბაზას ❖ მინერალების, ქანებისა და ნამარხი ორგანიზმების ნიმუშებს, მინერალთა სტრუქტურებსა და კრისტალთა მოდელებს ❖ საველე-გეოლოგიური აღჭურვილობა / გეოლოგიური კომპასები, გეოლოგიური ჩაქუჩები, GPS, ტოპოგრაფიული და გეოლოგიური რუკები, საველე კარვები, საძილე ტომრები და სხვ./ ❖ სალექციო აუდიტორიები: 423, 427, 476, 480, 482, 483 და სხვ. ❖ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგის შესაბამის ლაბორატორიებს ❖ თსუ ბიბლიოთეკა ❖ კომპიუტერული ბაზას, რომელიც ჩართულია ინტერნეტში. ბალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის, ალ. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის, ლევან ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზებს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიულ ბაზას.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	-
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 22/06/2026, 44/2026

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2026-2027 (I ნაწილი), 2027-2028 (II ნაწილი)

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების/ მოდულების ტიპი: სავალდებულო/ არჩევითი														
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა			გამოცდის დრო/დამოუკიდებელი	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი/ ლექტორები	
				ლექცია	სემინარი	პრაქტიკები /ლაბორატორიული			I ნაწილი		II ნაწილი			
									I	II	III	IV		
I ნაწილი														
სავალდებულო სასწავლო კურსები /40 კრედიტი/														
1.		საველე გეოლოგია და გეოლოგიური რუკების შედგენა 1	5	30		30	5/60	-	5				ლებანიძე ზურაბი	
2.		საველე გეოლოგია და გეოლოგიური რუკების შედგენა 2	5	30		30	5/60	საველე გეოლოგია და გეოლოგიური რუკების შედგენა 1		5			ლებანიძე ზურაბი	
3.		საქართველოს გეოლოგია	5	30	15		5/75	-		5			ლებანიძე ზურაბი	
4.		საქართველოს ლითონური საბადოები	5	30		15	5/75	-	5				ჩაგელიშვილი რუსუდანი	
5.		საქართველოს არაღებულური საბადოები	5	30		15	5/75	-		5			ჩაგელიშვილი	



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

												რუსუდანი
6.		ნავთობისა და გაზის გეოლოგია	5	30		15	5/75	-	5			ჯიქია ნიაზი
7.		პეტროფიზიკა	5	30	15		5/75	-	5			ქუთელია გურამი
8.		საველე-გეოლოგიური პრაქტიკა	5		96		29	-		5		ლებანიძე ზურაბი
არჩევითი სასწავლო კურსები / 20 კრედიტი /												
9.		მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევის სპეცმეთოდები 1	5	30		30	5/60	-	5			წუწუნავა თამარი
10.		მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევის სპეცმეთოდები 2	5	30		30	5/60	მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევის სპეცმეთოდები 1		5		წუწუნავა თამარი
11.		პრაქტიკული სტრატეგრაფია	5	30		15	5/75	-	5			კელეპტრიშვილი მალვა
12.		კავკასიის ნეოგენისა და ანთროპოგენის პალეონტოლოგია	5	30		30	5/60	-		5		ბუხსიანიძე მაია
13.		უცხო ენა 1	5			60	5/60	-	5			ენების ცენტრის პედაგოგი
14.		უცხო ენა 2	5			60	5/60	უცხო ენა 1		5		ენების ცენტრის პედაგოგი
II ნაწილი												
სავალდებულო სასწავლო კურსები /55 კრედიტი/												
1.		ახალი გლობალური ტექტონიკა და რეგიონული გეოდინამიკა	5	30	15		5/75	-			5	ლებანიძე ზურაბი
2.		საბადოების ძებნა და მარაგების ანგარიში	5	30		30	5/60	-			5	ჯაფარიძე ნინო
3.		მინერალური რესურსების ეკონომიკა	5	30	15		5/75	-			5	მალალაშვილი არჩილი
4.		გარემოსდაცვითი შეფასება და გადაწყვეტილებები	5	30	15		5/75	-			5	ფანჩულიძე აკაკი
5.		სედიმენტაციური პეტროგენეზისი	5	30	4	11	5/75	-			5	ჩაგელიშვილი



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

												რუსუდანი
6.		სამაგისტრო ნაშრომი	30		110		640	-			30	
არჩევითი სასწავლო კურსები / 5 კრედიტი /												
7.		მინერალთა თერმოდინამიკა	5	30	15		5/75	-			5	წუწუნავა თამარი
8.		პალეობიოგეოგრაფია პალეოეკოლოგიის საფუძვლებით	5	15		45	5/60	-			5	ქოიავა კახა, ლებანიძე ზურაბი
9.		სეისმოტექტონიკა	5	30	15		5/75	-			5	სადრაძე ნინო